ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №117

ქ. თბილისი 13 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლის დირექტორი თეონა ყაჭეიშვილი(შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ," შპს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების , სემინარებისა და ტრენინგების ცენტრის" დირექტორი თამარ ქემაშვილი(შემდგომში „შემსრულებელი") პ/ნ 1001020683 ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლის თანამშრომლებთან ტრენინგის ჩატარება(კერძოდ ორი თანამშრომელი)(CPV 80500000)

2.ხელშეკრულების ფასი

2.1 ერთი მსმენელის სატრენინგო გადასახადი შეადგენს 80(ოთხმოცი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება(გადასახადების გათვალისწინებით) შეადგენს 160(ას სამოცი)ლარს.

3.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 „შემსრულებელი" ვალდებულია დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

3.2 „შემსყიდველი" ვალდებულია დროულად მოახდინოს ანგარიშსწორება.

4. ანგარიშსწორება

4.1 „შემსყიდველის" მიერ „შემსრულებელი" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით მხარეთა შორის გაფორმებული მიღება -ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში მიღება -ჩაბარების აქტის გაფორმებიდა 15 კალენდარული დღის ვადაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში „შემსრულებელი" ჯარიმდება, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებლო ღირებულების 0,2%-თ, იგივე პუნქტი ვრცელდება „შემსყიდველზეც".

6. მიღება -ჩაბარების წესი

6.1 შესწყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

7 ფორს-მაჟორი:

7.1 ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობები შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2 ფორს-მაჟორულ შემთხვევად ითვლება სტიქიურ მოვლენები. ეპიდემია, შეიარაღებული კონფლიქტი, სამოქალაქო არეულობა, საბიუჯეტო ასიგნებათა შემცირება.

8 ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები:

8.1 ხელშეკრულება შემლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტით, რაც შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

9 დავის გადაწყვეტა:

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.

9.2 თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა:

10.1 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 13 ივლისიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

11 მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ ქალაქ თბილისის №198 სჯარო სკოლის **დირექტორი** თეონა ყაჭეიშვილი ა/ა GE91PB1100000333609106 სს თიბისი ბანკი მარჯანიშვილის ფილ. ს/კ 202 887 778	„შემსრულებელი" „შპს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მუშაკთა გადამზადების, სემინარებისა და ტრენინგების ცენტრის" **დირექტორი** თამარ ქემაშვილი ა/ა GE42TB7213736080100002 სს თიბისი ბანკის ფილიალი ს/კ 400052660

12 მხარეთა ხელმოწერები:

თ. ყაჭეიშვილი	
----------	----------
თეონა ყაჭეიშვილი	თამარ ქემაშვილი